ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 მარტი, ორშაბათი, 1990 წ.
№ 48 (10 217) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 მარტს, ჩვენს უნივერსიტეტში

# შეიქმნება ახალი ფედერაცია

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფის სხდომა.**

**მკლავჭიდელ** მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარემ ვახტანგ მუსელიანმა ილაპარაკა იმ დიდ პოპულარობაზე, რომელიც ჩვენთვის სპორტის ამ ახალმა სახეობამ უკვე მოიპოვა საქართველოში. დასტურად უნივერსიტეტის ღია ჩემპიონატი, საქართველოს უნივერსიადა და რესპუბლიკის ღია ჩემპიონატიც გამოდგება. ამ შეჯიბრებებს დიდძალი მაყურებელი დაესწრო. ქართველი მკლავჭიდელების სრული ტრიუმფით დამთავრდა საბჭოთა კავშირში პირველად გამართული საერთაშორისო ტურნირი — მოსკოვის ღია ჩემპიონატი, სადაც სხვადასხვა კატეგორიებში და, რაც მთავარია, ყველაზე პრესტიჟულ აბსოლუტურ კატეგორიაში, წარმატება სწორედ ქართველ სპორტსმენებს ხვდათ წილად. საქართველოში სისტემატურად ტარდება სხვადასხვა რეგიონებისა და უწყებების პირველობები. სულ ახლახან სვანეთის ჩემპიონატში გაიმარჯვა ერეკლე გურჩიანმა, ხოლო საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის ჩემპიონი გახდა სოსო ჯაჭვლიანი. საქართველოში მკლავჭიდის დანერგვა-პოპულარიზაციაში დიდია ჩვენი უნივერსიტეტის დამსახურება.

უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა ვახტანგ გოგუაძემ, უნივერსიტეტის სპორტკლუბ „მიმინოს" თავმჯდომარემ [illegible] უნივერსიტეტის გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარემ, დოცენტმა გურამ აროშიძემ, „შევარდენის" სტუდენტთა სპორტკლუბ „ბურევესტნიკის" დირექტორმა გივი მძელურმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა შოთა ლომიძემ, უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის გამგემ დავით კვაჭაძემ აუცილებელ და საშურ საქმედ ჩათვალეს მკლავჭიდის რესპუბლიკური ფედერაციის ჩამოყალიბება. საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს ეცნობა კრების გადაწყვეტილების შესახებ.

14 მარტს 13 საათზე უნივერსიტეტში გაიმართება საქართველოს მკლავჭიდელთა ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა.



## ცხადაძე ამარცხებს ნაგირნის

**კალოსნოგაში** საერთაშორისო ტურნირის — „მეგობრობის თასის" დამთავრების შემდეგ სპორტის სასახლეში გაიმართა აქ მოწვეული ძალოსანთა ნაკრებისა და საქართველოს უძლიერეს მკლავჭიდელთა შეხვედრა.

**ჩვენი** გუნდის ღირსებას იცავდნენ საქართველოს ნაკრების წევრები ზაურ ცხადაძე, გოჩა ონანოვი და თამაზ კურკუმელი (მათ შორის არ იყო ერთ-ერთი უძლიერესი მკლავჭიდელი ერეკლე გურჩიანი). ძალოსნების გუნდში სხვებზე გამორჩეულად გამოიყურებოდნენ ზემძიმე წონის (145 კგ) ათლეტი, ტაცში მსოფლიოს ექსრეკორდსმენი, სერგეი დიდიკი (იგი თანაგუნდელების აღიარებით მკლავჭიდში საბჭოთა გუნდში ყველაზე უძლიერესია) და 126 კგ წონის სერგეი ნაგირნი.

ასპარეზობა უაღრესად დაძაბულად წარიმართა. სამწუხაროდ, აზრთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია დიდიკ-ონანოვის შეხვედრამ. დიდიკმა რამდენჯერმე დაარღვია შეჯიბრების წესი. ამასობაში გოჩამ, საკმაოდ რთული მდგომარეობიდან, გადაუწია მკლავი მეტოქეს.

ელვისებურად დამთავრდა ცხადაძე-ნაგირნის შეხვედრა — სერგეიმ კონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ მისი მკლავი მაგიდაზე იდო.

ფინალში საქართველოს ორი წარმომადგენლის — ცხადაძე-ონანოვის შეხვედრაში გაიმარჯვა ცხადაძემ. უძლიერესს კინოსტუდია „სპექტრის" პრიზი — ხუთასი მანეთი გადაეცა.

**ს უ რ ა თ ზ ე:** ცხადაძე — ნაგირნის შეხვედრა.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

## „შევარდენის" სახელით

**შვიდი საპრიზო ადგილი დაიკავეს ჩვენი რესპუბლიკის სამბისტებმა დიმიტროვგრადში გამართულ 17-18 წლის სპორტსმენთა პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე.**

საგარეჯოელმა ნიკოლოზ განიაშვილმა ექვსი ორთაბრძოლიდან ოთხში წმინდა გამარჯვება მოიპოვა და პირველი ადგილიც მას ხვდა. 75 კგ წონაში. რუსთაველმა ვეფხია ავალიანმაც ყველა მეტოქეს აჯობა. ოღონდ მძიმე წონით კატეგორიაში.

მეორე ადგილები დაიკავეს: საგარეჯოელმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა (48 კგ) და ხაშურელმა პაატა მულაძემ (87), მესამე იყო ბადრი ჯანიაშვილი (56), ივანე გამხიტაშვილი (87) და ჯამბულად ქამხაძე (მძიმე). სამივე მოჭიდავე კასპიდანაა.

პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

## „თუ იმას გააკეთებ, რაც შეგიძლია, რაც გევალება"

ამ სათაურით შარშან, 7 ოქტომბრის „ლელოში" გამოქვეყნებული კორესპონდენციის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული წერილი ხენაკის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა და არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა რაიონის სასწავლო დაწესებულებებში გაწეული სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. სასტიკი საყვედური გამოუცხადეს სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატის დირექტორს ჯ. ფარცვანიას, მე-5 საშუალო სკოლის დირექტორს დ. გოგინავას; მკაცრად გააფრთხილეს მე-8 საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ელიავა.

გაითვალისწინეს, რომ 1-ლი და მე-7 საშუალო სკოლის დირექტორები ახლად არჩეულნი არიან და მათ მიეთითათ.

რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებიდან გამომდინარე ხენაკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ განიხილა აღნიშნული სკოლების ფიზკულტურის მასწავლებელთა საკითხი და მასწავლებლებს ი. ადამიას, ჯ. გაბუნიას, ვ. ბალათურიას და ნ. დუდუჩავას გამოუცხადა საყვედური.

დაისახა კონკრეტული ღონისძიება არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის.

ზ. ხოშოლავა,
ხენაკის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის

# კიდევ ერთი ნაბიჯი

**გაიმართა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის (სკეა) დამფუძნებელი კონფერენცია.**

**დელეგატებმა** ერთსულოვნად მოიწონეს ასოციაციის შექმნის იდეა, განიხილეს მისი წესდება და მიიღეს რეზოლუცია ასოციაციის დაფუძნების შესახებ.

კონფერენციამ ასოციაციის პრეზიდენტად აირჩია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე **ლევან ჩხიკვაძე**, ვიცე-პრეზიდენტად — სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარის მოადგილე **ამირან აბესაძე**. არჩეულია აგრეთვე ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბებისა და დამფუძნებელი ორგანოების: საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წარმომადგენლები.

ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორად დაამტკიცეს რესპუბლიკური სპორტული კლუბის „ბურევესტნიკის" დირექტორი გივი მძელური.

კონფერენციამ დაავალა აღმასრულებელ კომიტეტს ასოციაციის წესდების საბოლოო ვარიანტის შემუშავება მიმდინარე წლის I აპრილამდე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი და საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი რობერტ ურუშაძე... ჯუმელაშვილი.

ასოციაციის შექმნით გადაიდგა კიდევ ერთი რეალური ნაბიჯი სტუდენტთა საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში საქართველოს დამოუკიდებელი წარმომადგენლობისათვის ბრძოლის გზაზე.

---

დეპეშა ნომერში

**სპარტაკიადისა და ჩემპიონატის პრიზიორები**

**ზლატაუსტი.** აქ გრძელდება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და ქვეყნის ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ნატურბანში. საქართველოს წარგზავნილებმა — აკოპოვ-ჯიჩოევის წყვილმა ორივე პირველობაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მეხუთე იყო ჯანგობეკოვი.

წელიწადი - მეზობელი

**მეხიკო.** გაიმართა მექსიკის თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა ნაკრებმა. მეორე ადგილი წილად ხვდათ მექსიკელებს, მესამე — ესპანელებს. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო საბჭოთა სპორტსმენი ანატოლი სტაროსტინი. მესამე ადგილზეც საბჭოთა ხუთჭიდელი, ანდრეი ტროპინი იყო. მეორე ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიელმა მილან კადლეცმა.

**მოსკოვი.** სპორტკომპლექსს „ოლიმპიისკის" აუზში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი წყალში ხტომაში „გაზაფხულის მერცხლები". 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვება წილად ხვდა ამერიკელ სპორტსმენს მარკ ბრედშოუს, რომელმაც 670,98 ქულა მოაგროვა. 665,34 ქულით მეორე ადგილზეა მექსიკელი ხოსე როჩა, მესამეზე — საბჭოთა წყალში მხტომელი სერგეი ლომანოვსკი (663,39).

**ინდიან-უელსი (აშშ).** აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს მეორე ჩოგანი ბორის ბეკერი ნახევარფინალში შეხვდა ამერიკელ ანდრე აგასის და დამარცხდა — 4:6, 1:6. ფინალში აგასი შეხვდება შვედ სტეფან ედბერგს, რომელმაც ნახევარფინალში — 6:4, 6:1 დაამარცხა ჯიმ კურიე (აშშ).

**ბოკა-რატონი (აშშ).** 13 წლის ამერიკელი გოგონა ჯენიფერ კაპრიატი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელია, რომელიც პროფესიონალთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში გავიდა. „ვირჯინია სლიმზის" სერიის ასპარეზობის ნახევარფინალურ შეხვედრაში მან დაამარცხა პერუელი ლაურა გილდემაისტერი — 7:6 (9:7), 7:6 (7:4). ფინალში ნორჩი ჩოგბურთელი არგენტინელ გაბრიელა საბატინის შეხვდება.

---

უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენციის

# რეზოლუცია

**გამოხატავს** რა დელეგატთა ერთსულოვან აზრს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია, ადგენს:

1. დაფუძნდეს უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაცია და ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს სცნოს იგი თავის შემადგენელ ნაწილად და ნამდვილ წევრად.

2. დაევალოს სკეა-ს აღმასრულებელ კომიტეტს:

— კონფერენციაზე გამოთქმული წინადადებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით 1 აპრილამდე შეიმუშაოს სკეა-ს წესდების საბოლოო ვარიანტი და დამფუძნებელ ორგანოებთან შეთანხმებით მოამზადოს იგი საქართველოს მთავრობაში და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში წარსადგენად სათანადო რეგისტრაციისათვის.

— შეიმუშაოს სკეა-ს სამუშაო გეგმა 1990 წლისათვის და სამოქმედო პროგრამა 1994 წლამდე;

— მოამზადოს სკეა-ს მიმართვა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბებისადმი, განსაზღვროს ასოციაციის მთავარი ამოცანები და საპროგრამო საკითხები.

— უზრუნველყოს სკეა-ს I კონფერენციის მომზადება და ჩატარება 1990 წლის განმავლობაში.

— წესდების რეგისტრაციაში გატარების შემდეგ 3 თვის ვადაში გადაწყვიტოს საბანკო ანგარიშის გახსნის, ბეჭდის დამზადების, დამფუძნებელ ორგანოებთან ხელშეკრულებების გაფორმების, ასოციაციის ემბლემისა და ატრიბუტიკის დამზადების, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხები.

**რეზოლუცია მიღებულია სკეა-ს დამფუძნებელი კონფერენციის მიერ 1990 წლის 7 მარტს ქ. თბილისში.**

---

## მართვეები ფრთიანდებიან

ამ დღეებში „მართვეს" თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ორ ტურნირში იასპარეზეს. უფროსები ხერსონში ცდიდნენ ძალებს, იუნიორები — ლატვიის ქალაქ ბულდურში. ორივეგან სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობები გაიმართა.

**ხერსონში** გაიმარჯვა ლევან ტედიაშვილმა (130 კგ), ზაზა ზვიადაურიშვილმა (100) მეორე ადგილი დაიკავა, კობა ლობჟანიძემ (100) — მესამე.

ჩვენმა იუნიორებმა უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს. მათ სამი პირველი, ერთი მეორე და ორიც მესამე ადგილი დაიკავეს. ბულდურში გაიმარჯვეს ვახტანგ ლასურიძემ (48 კგ), თამაზ ხუციშვილმა (52) და ზვიად ხარშილაძემ (57), მეორე ადგილი ვლადიმერ ელოიანის (52) წილად მოდის, ხოლო იოსებ ელბაქიძე (62) და კახა პილაშვილი (74) მესამე ადგილებზე გავიდნენ. ჩვენს გუნდს ხელმძღვანელობდა სულიკო ნიკოლაძე.

# ჩემპიონატსაც აფხაზეთი უმასპინძლებს

**ამ შეჯიბრებას, რომელსაც ოცწლიანი ისტორია აქვს და ტრადიციულად აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიზზე ტარდება, ამჯერადაც სოხუმმა უმასპინძლა.**

ასპარეზობა დაიწყო წრიული რბოლით 70-კილომეტრიან დისტანციაზე. აქ I და II ადგილები დაიკავეს ესტონეთის წარმომადგენლებმა — შესაბამისად პეეპ მიკლიმ და ლაური რესიკმა, III იყო იგორ ლიუშჩენკო (ქ. ნიკოლაევი „იუჟნი ბუგის“ ოლიმპიური მომზადების ცენტრი).

შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა სოხუმელმა ვიქტორ ჯორბენაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ წრიულ რბოლაში 70-კილომეტრიან დისტანციაზე კარგად აიღო სტარტი თბილისელმა სპორტსმენმა, ოლიმპიური მომზადების ცენტრის („ივერია“) წარმომადგენელმა ბაჩუკი ხორგუანმა. იგი დისტანციის პირველ ნახევარში ლიდერთა ჯგუფში იყო, მაგრამ... საბოლოოდ V ადგილი.

120 კილომეტრზე საგზატკეცილო რბოლაში გამარჯვება მოიპოვა ხარკოველმა ანდრეი იგნატკოვმა, II იყო მისი თანაქალაქელი ვასილი ზაიკა, III ევგენი კოშევოი (ბელორუსია).

140-კილომეტრიან რბოლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ალექსანდრე რამჩუკი (ქ. ნიკოლაევის „იუჟნი ბუგი“), 2. ანდრეი იგნატკოვი, 3. ლაუკ ანდრესი (ესტონეთი).

155 კილომეტრი: 1. ვალერი დიაჩენკო (კრასნოდარის მხარე), 2. სერგეი მინაშკინი (ომც „დონბასი“), 3. ედუარდ ზაიცევი (ომც „იუჟნი ბუგი“).

შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა საგზატკეცილო რბოლა 110 კილომეტრზე. აქ გაიმარჯვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ხარკოველმა ალექსეი ზინოვიევმა, II იყო აედრეი მუხინი (ბელორუსია, ომც), III ალბერტი ანიმიცა (ომც „დონბასი“).

ეს ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ოლიმპიური მომზადების ცენტრების და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები, თავისებური რეპეტიცია იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის წინ. ჩემპიონატი სოხუმში და გუდაუთა-გაგრის ტრასაზე მარტის მეორე ნახევარში გაიმართება.

**თენგიზ პაპკორია,**
**„ლელოს“ კორ.**

**ქ. სოხუმი.**

## სად გაიმართება ოლიმპიადები?

**ექვსი** ქალაქი აცხადებს პრეტენზიას ზაფხულის 1996 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე: ბელგრადი (იუგოსლავია), მანჩესტერი (დიდი ბრიტანეთი), ატლანტა (აშშ), ტორონტო (კანადა), ათენი (საბერძნეთი), მელბურნი (ავსტრალია). ძირითად პრეტენდენტებად სპეციალისტები ბოლო ოთხ კანდიდატს თვლიან, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს სოკ-ის მორიგი სესია, რომელიც სექტემბერში გაიმართება ტოკიოში.

1991 წლის ივნისში კი სოკ-ის სესიის მონაწილეები, რომლებიც ბირმინგემში (დიდი ბრიტანეთი) შეიკრიბებიან, გადაწყვეტენ, თუ სად ჩატარდება თეთრი ოლიმპიადა-98. მკითხველებს შევახსენებთ, თუ რომელი ქალაქები აცხადებენ პრეტენზიას მასპინძლობაზე: აოსტა (იტალია), ხაკა (ესპანეთი), ნაგანო (იაპონია), ოსტერსუნდი (შვეცია), სოლტ-ლეიკ-სიტი (აშშ) და სოჭი (სსრკ).

**მკითხველი გვთავაზობს, აზრს გვიზიარებს**

# მეტი წინდახედულება გვმართებს

**გაზეთ** „ლელოში“ (1990 წ. 6 მარტი) გამოქვეყნდა ინფორმაცია „დინამო“ იცვლის სახელს“. წერილის მიხედვით ვგებულობთ, რომ არის მოსაზრება ჩვენს წამყვან საფეხბურთო გუნდს დაერქვას „იბერია“. რედაქცია გვაუწყებს: „15 მარტი შენიშვნებისა და წინადადებების მიღების ბოლო ვადაა“. ხოლო იმავე დროს გაზეთ „თბილისში“ არის ინფორმაცია „იბერია“ — „დინამოს“ ნაცვლად“ და იტყობინება: რომ „კრებამ გადაწყვიტა გუნდს ეწოდოს „იბერია“.

ჯერ ერთი, თუ გუნდმა უკვე გადაწყვიტა, მაშინ რისთვისღა გვთხოვენ მოსაზრებებს, მეორეც — რამდენად გამართლებულია ჩვენი სანუკვარი სახელების „საქართველო“ — „იბერიის“ ასე გაიოლებული გზით ყოველდღიურ მიმოქცევაში შეტანა. ამას პატრიოტიზმის პროვინციული ელფერი ხომ არ დაჰკრავს? მთელს მსოფლიოში არც ბრაზილიელებს და არც ინგლისელებს, არც არგენტინელებს და არც ესპანელებს და საერთოდ არავის (ავსტრიის გარდა) აზრად არ მოსვლია გუნდისთვის სამშობლოს სახელი ეწოდებინა. ეს იმიტომ, რომ გუნდი რაც უნდა ძლიერი იყოს, ის მაინც სპორტულ შერკინებებშია ჩაბმული და სრულიად ბუნებრივია წარმატებასთან ერთად მარცხიც განიცადოს. როგორი მოსასმენია, რომ წარამარა გესმოდეს „იბერიამ“ წააგო“, „იბერია“ დამარცხდა“, „იბერია“ მიჩანჩალებს ცხრილის ბოლოში“, „იბერია“ დასუსტდა და დაკნინდა“, „იბერიის“ ულიმღამო თამაშით მაყურებელი უკმაყოფილო დარჩა“ და მრავალი სხვა. სხვისი რა მოგახსენოთ და ყოველივე ეს და სხვა მსგავსი დამაკნინებელი ეპითეტი მე გულზე . მომაკვდინებლად მომხვდება.

თბილისის „დინამოს“ სახელი რომ აშკარად გამოსაცვლელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მას ისეთი სახელი უნდა დავარქვათ, როგორიცაა, მაგალითად, თელავის „ნადიკვარი“, ყვარლის „დურუჯი“, გორის „დილა“, ქობულეთის „მუქურა“ და მრავალი სხვა, მაგრამ გუნდს ერქვას „იბერია“ და წარამარა გესმოდეს მის მიმართ უსიამოვნო ეპითეტები და ეს ეპითეტები შეერწყას წმიდათაწმიდა სახელს — „იბერიას“ — მკრეხელობად მიმაჩნია.

დავუშვათ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ზოგიერთი წარუმატებლობის სანაცვლოდ საქართველოს პირველობაზე მუდამ გამარჯვებული გამოვიდეს (არც ესაა რეალური და სასურველი!), განა ის კი იქნება კარგი, რომ გვესმოდეს „იბერიამ“ მოუგო „იმერეთს“, „იბერიამ“ მოუგო „კახეთს“ ან „გურიას“, ან „იბერიამ“ წააგო „სამეგრელოსთან“ და ა. შ. სხვათა შორის აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ გუნდებისთვის ასეთი კუთხური, ეთნიკური სახელების დარქმევა სრულიად გაუმართლებელია.

განა ნორმალურია, რომ გამოიკრას აფიშები: „კახეთი“ ეჯიბრება „სამეგრელოს“, „გურია“ ეჯიბრება „იმერეთს“ და ამის შესაბამისად სტადიონზე დაჯგუფდნენ კახელები ცალკე და იმერლები ცალკე და ურთიერთსაპირისპირო ემოციებით განიმსჭვალონ? ვის სჭირდება საშუალო საუკუნეების ეს კუთხური სეპარატიზმი. ეს გვინდა ახლა ჩვენ? ჩვენდა შეუცნობლად, ჩვენდა უნებურად ასეთი სიტუაცია გააღვივებს და გაამძაფრებს იმ საშინელ სენს, რომელმაც საუკუნეების მანძილზე დაგვაძაბუნა და რომელიც საბედნიეროდ დავძლიეთ. არც ერთი ქართველის ცნობიერებაში აღარაა ეს ეთნიკური კარჩაკეტილობა, დღეს კი ჩვენდაუნებურად ამის გაცოცხლებას ვაპირებთ.

გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორიც: ყოველი ასპარეზობის დროს სრულიად ბუნებრივია გულშემატკივართა შეძახილები და, რასაკვირველია, ჯანსაღი დამოკიდებულების გამოვლენა. ამავე დროს ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ შეძახილების, ე. ი. საყვარელი გუნდის სახელის სკანდირების დროს პირველ ხმოვანზე მახვილი არ მოდის და იგი იკარგება. აბა განჭვრიტეთ რა სიტუაცია შეიქმნება, როდესაც „იბერიის“ ნაცვლად მთელი სტადიონი იგუგუნებს „ბერიას“ — „ი-ბერია“. ესეც ხომ ხელს მისცემს ჩვენდამი არაკეთილად განწყობილთა პროვოკაციას. ესეც ხომ გაამართლებს ზოგიერთი არაქართველი ექსტრემისტის ბრალდებას, თითქოს საქართველოში „ბერიას“ პოპულარიზაციას ეწეოდნენ.

საერთოდ, ყოვლად გაუმართლებელია რომელიმე სპორტულ გუნდს ერქვას შენი სათაყვანებელი ქვეყნის სახელი. „ივერია“ — „იბერია“ ეს ისეთი წმინდა, ამაღლებული, ფაქიზი და სათაყვანებელი სიტყვაა, რომ მასთან ასე იოლად გაშინაურება მკრეხელობად მიმაჩნია.

**რევაზ ბარამიძე.**
**პროფესორი.**

# კარგი სახელია „დიდუბე“

**საქართველოს ახლად შექმნილი ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებამ ჩაატაროს რესპუბლიკის დამოუკიდებელი ჩემპიონატი და არ მიიღოს მონაწილეობა სსრ კავშირის საფეხბურთო გათამაშებებში, უეჭველად, ახალი ფურცელი გადაშალა ქართული ეროვნული სპორტის ისტორიაში.**

**ეროვნულ** ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ფაქტობრივადაც და თვისობრივადაც განსხვავებულია იმათგან, რომლებიც უწინ მონაწილეობდნენ საკავშირო თუ რესპუბლიკური ჩემპიონატების სხვადასხვა დონეზე. ეს ეხება როგორც თბილისის „დინამოს“, ასევე სხვა გუნდებსაც, რომელთა შემადგენლობაში შესაძლოა დიდად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იყოს, მაგრამ უეჭველად ახლებური იქნება მათი სათამაშო კონცეფციაც, ჩემპიონატისადმი მიდგომაც, პროფესიონალიზმიც და მამულიშვილური გრძნობაც.

ამ შემთხვევაში მინდა ვილაპარაკო თბილისის „დინამოზე“. საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარის თქმით და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობით დამთავრდა თბილისის „დინამოს“ ისტორიის ერთი დიდი მონაკვეთი თავისი ბრწყინვალე გამარჯვებებითაც და წარუმატებლობებითაც, იმ სიხარულითაც და გულისტკივილითაც, რომელიც თავის მომხრეებს არგუნა.

ახლა, რესპუბლიკის ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ ბაზაზე შექმნილი ახალი (დიახ, თვისობრივად ახალი) გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ბუნებრივია ახალ გუნდს ახალი, შესაფერისი სახელიც შეეფერება.

რამდენიმე წელია ჩვენი პრესის ფურცლებზე ცხარე კამათია გაჩაღებული საქართველოს გუნდების და, კერძოდ, თბილისის „დინამოს“ სახელწოდების შეცვლაზე. იყო წამოყენებული სხვადასხვა ვარიანტი, მათ შორის „საქართველო“, „ივერია“, „იბერია“, „კოლხეთი“ და სხვა. დღეისათვის, რასაკვირველია, „საქართველოს“ და „ივერიის“ დარქმევას რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილე გუნდისთვის აზრი არა აქვს, ვფიქრობ, ამ სახელწოდების დარქმევა არც ადრე იყო მაინცდამაინც მიზანშეწონილი, ვინაიდან ფეხბურთის სამყაროსათვის უცნობია შემთხვევები, რომ რომელიმე გუნდს ქვეყნის აღმნიშვნელი სახელი ინგლისი, საფრანგეთი, ბრაზილია, არგენტინა ან იტალია რქმეოდეს.

ჩემი აზრით, თბილისის „დინამოს“ — რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილე გუნდს უნდა ეწოდოს ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი უბნის სახელი „დიდუბე“. იგივე სახელი უნდა დაერქვას „დინამოს“ დღევანდელ სტადიონსაც. რახან სტადიონზე ჩამოვარდა სიტყვა, ასევე უნდა გადაერქვას თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონს ძველი სახელწოდება და ეწოდოს ის სახელი, რომელსაც ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე ვაკის სტადიონს ვუწოდებთ. საერთოდ, საინტერესოა ვის მოუვიდა აზრად ჩვენში საფეხბურთო გუნდებისთვის აბსურდული სახელების „დინამოს“, „ტორპედოს“, „ლოკომოტივის“ და სხვა მსგავსი სახელების დარქმევა. ასე ხომ შეიძლება გუნდებს ეწოდოს კარდანი, გუთანი, ფიუზელაჟი, ფაიტონი, ვაგონი და ა. შ.

რაც შეეხება თბილისის „დინამოსთვის“ ახალი სახელის „დიდუბის“ დარქმევას, არაერთი ანალოგიური შემთხვევა გვაქვს მსოფლიოს ფეხბურთელთა გუნდების სახელწოდებებში. სახელდობრ, თურქეთის ცნობილი „გალათასარაის“ გუნდის სახელი სტამბულის ერთ-ერთი უბნიდან მოდის, ხოლო „ფერენცვაროში“ კი ბუდაპეშტის რაიონია, ასევეა „ჩელსიც“ (ინგლისი).

საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. მინდა, რომ „დიდუბის“ სტადიონის სამხრეთის ტრიბუნიდან აღფრთოვანებით მივესალმო თბილისის „დიდუბის“ ფეხბურთელთა ლამაზ თამაშს.

**ნოდარ გურეშიძე,**
**მწერალი.**

# „ტაო“, „ბათუმი“, „აჭარა“...

**ამდენი** ხალხი კარგა ხანია არ შეკრებილა ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ბათუმის სახელმწიფო თეატრის პრემიერაზე არ გვაქვს ლაპარაკი, იმ კვირა დღეს ბათუმელი ფეხბურთის მოყვარულები საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ წარმომადგენლებს შეხვდნენ. გაიმართა ნამდვილი დიალოგი, დავა, იყო ტაში, იყო სიცილიც...

შეხვედრა გახსნა საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა რევაზ ჩელებაძემ:

— გვიჭირს, მეგობრებო, — თქვა მან. — კლუბი დიდ ხელმოკლეობას განიცდის, არა გვაქვს სავარჯიშო ბაზა, თუმცა ფაქტიურად უკვე გადაწყვეტილია, რომ ბათუმის „დინამოს“ მოუვლის და უპატრონებს საქართველოს საზღვაო სანაოსნო. დღის წესრიგში დგება ბათუმის „დინამოსთვის“ სახელის შეცვლის საკითხი. არის აზრი და ამ აზრს ეთანხმება სანაოსნოს ხელმძღვანელობაც, რომ კლუბს ეწოდოს საფეხბურთო კლუბი „ბათუმი“.

შემდეგ ტრიბუნასთან ერთმანეთს ცვლიდნენ გულშემატკივრები, ვეტერანი ფეხბურთელები. ისინი ბჭობდნენ, თუ სად შეიძლება აშენდეს ბათუმელთა საფეხბურთო ბაზა, რა სახელი დაერქვას გუნდს. დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის ჯემალ ჭილვარიას გამოსვლამ, რომელმაც აღნიშნა, რომ სანაოსნო ყველაფერს გააკეთებს, რათა ბათუმელმა ფეხბურთელებმა გაჭირვება არ იგრძნონ, თუმცა, საჭიროა სხვა ორგანიზაციებმაც და თვით გულშემატკივრებმაც გამოიღონ ხელი. მანვე აღნიშნა, რომ უკვე ერთ წელზე მეტია კლუბს საჩუქრად გადასცეს 100 ათასი მანეთის ღირებულების გასართობი ავტომატური სათამაშოები, რასაც შეეძლო შემოსავლის ნაწილი მოეტანა, მაგრამ უადგილობის გამო მისი დამონტაჟება არ მოხერხდა. ახლა ეს ძვირადღირებული დანადგარები წვიმაში იყანგება.

გულშემატკივრებმა მრავალი შეკითხვა დაუსვეს პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ალექსანდრე ახვლედიანს და სახალხო დეპუტატთა ბათუმის ალმასკომის თავმჯდომარეს როსტომ დოლიძეს. ქალაქის ხელმძღვანელებმა გულშემატკივრებს აღუთქვეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ყველაზე მეტი კამათი საფეხბურთო კლუბის ახალი სახელწოდების საკითხმა გამოიწვია. გულშემატკივართა ერთმა ნაწილმა წამოაყენა აზრი, რომ კლუბს დაერქვას „ტაო“, სხვებმა — „მაჭახელა“, იყო სხვა ვარიანტებიც: „აჭარა“, „ხიხანი“, „ბათუმი“. საბოლოოდ გადაწყდა, რომ კონკურსი გუნდის სახელწოდებაზე გაგრძელდეს აპრილის დასაწყისამდე. ასე რომ, „ლელოს“ მკითხველებს საშუალება აქვთ თვითაც მიიღონ მონაწილეობა ამ კონკურსში.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ფეხბურთელები ერთსულოვნად დაეთანხმნენ გადაწყვეტილებას დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების შესახებ, ილაპარაკა ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადების შესახებ.

ბოლოს, საქართველოს სახალხო ფრონტის ბათუმის რეგიონალური საბჭოს თავმჯდომარემ დავით ბერძენიშვილმა რ. ჩელებაძეს გადასცა 500 მანეთი, როგორც სახალხო ფრონტელთა პირველი შესატანი. იმედია, ამ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ.

**მუხრან კობალაძე.**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

**ბათუმი.**

# თბილისის „თბილისი“

ნუ დავიწყებთ მკითხაობას. თბილისის „დინამოსთვის“ ყველაზე შესაფერისი სახელი, ჩემი აზრით, არის „თბილისი“. ქალაქის აღმნიშვნელ სახელებს უცხოეთის ბევრი გუნდი იყენებს. ჩვენც მივბაძოთ მათ. ამაში ცუდი და დასაძრახი არაფერია. ყველაზე უკეთ სწორედ საკუთარი ქალაქის სახელი მიანიშნებს გუნდის ვინაობაზე.

„იბერია“ რატომ მაინცდამაინც თბილისმა უნდა დაიჩემოს? სხვა რომ არ ვთქვათ, ესეც ხომ ქმნის ერთგვარ უხერხულობას. მაშ, „თბილისი“ და მხოლოდ „თბილისი“.

**რობერტ კოვზირიძე,**
**იურისტი.**

**თბილისი.**

• • •

ამავე აზრს იზიარებენ გიორგი კვანტალიანი, ჰ. მენაბდე, ლ. მაისურაძე (სამივე თბილისი), მ. მჭედლიშვილი, კ. მამალაძე (რუსთავი), კ. მალაზონია (ფოთი), ნ. ცეცხლაძე (ბათუმი).

# ისიც სარეცელსაა მიჯაჭვული...

**ახეთ** ამბებზე წერა მუდამ ძნელია, ძნელია გაჭირვებული კაცის ამბის მოსმენა, მით უფრო — სრულიად ახალგაზრდასი. ბევრი ადამიანი შეძრა ძეგველი ჭაბუკის გიგა რთველიაშვილის თავს დატყდარმა უბედურებამ; იგი ჭიდაობისას მძიმედ დაშავდა და უკვე სამი წელია საწოლს არის მიჯაჭვული. გიგა კვლავ ელის შველას, ეს ამ დღეებშიც საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთ გადაცემაშიც აღინიშნა...

სოფელ გლდანში უკვე ორი წელია საწოლს მიჯაჭვულია ამირან აბუაშვილიც, რომელიც სულ მალე, 19 აპრილს, ცხრამეტი წლისა გახდება. მათი ისტორია საოცრად და საშინლად იდენტურია: ამირანიც ძიუდოისტი იყო, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრი. ისიც (ოღონდ 1988 წლის მაისში) თავისი გუნდის — „შრომითი რეზერვების“ შემადგენლობაში ქუთაისში გაემგზავრა საქართველოს პირველობაზე. ჭიდაობისას მძიმე ტრავმა მიიღო და მას შემდეგ მისთვის თითის ამოძრავებაც-კი შეუძლებელი გახდა.

ერთხანს იმედი ასულდგმულებდა. ექიმებმა დაამშვიდეს, ნახევარ წელიწადში დაგაყენებთ ფეხზეო. მეათეკლასელი ბიჭიც იმაზე წუხდა, რამდენი დრო და ვარჯიში მიცდება, მერე ტოლებს როგორღა დავეწევიო.

მაგრამ მუხთალმა ტრავმამ უფრო გაუგრძელა ეს ოცნება... მას შემდეგ, როგორც ვთქვით, უკვე ორი წელი გადის და საშველი არ ჩანს. ჯანდაცვის სამინისტრომ ხელი გაუმართა, მოსკოვში გამგზავრებაში დაეხმარა, სპეციალური სანატორიუმის საგზურიც გამოუყო... სახელმწიფომ კი 50 მანეთი დაუნიშნა, როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდს...

ეს არის და ეს. სპორტი „განზე დარჩა“, აღარ მიეკარა თავის ყოფილსა და ერთგულ თაყვანისმცემელს. „შრომით რეზერვებში“ პენსიის დანიშვნისგან (ჯერჯერობით მაინც) შორს დაიჭირეს თავი, ათასი მიზეზი უთხრეს. არადა, ასეთი და სხვა სახის დახმარება მართლაც ძალიან სჭირდება ჭაბუკს, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, შარშან, წლის ბოლოს, სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველომ 720 მანეთი გადასცა დახმარების მიზნით.

ამირან აბუაშვილს კიდევ სამი ძმა ჰყავს, ერთი მისი ტყუპისცალია, ერთი ახლა ჯარშია. რედაქციაში ერთ-ერთი ძმა გვეწვია და ეს სამწუხარო ამბავი გვიამბო. თან ისიც გვითხრა, ადრე ვერ მოვედი, თვითონ ამური (ამირანს ასე ეძახიან შინაურები) გვიშლიდა ამასო...

გიგა რთველიაშვილს რეალური დახმარება ჯერ კიდევ ისევ მწვავედ სჭირდება, როგორც მაშინ, პირველი წერილი რომ დავბეჭდეთ მასზე. ასევე დიდი დახმარება სჭირდება ამირან აბუაშვილს, ისიც ელის შველას, შველას ჩვენგან...

ეროვნული ბიბლიოთეკა



საკავშირო პირველობა კალათბურთში ● I ლიგა

# ახლა შინ

ფინიშთან მიახლოებისას ყოველთვის იგრძნობა დაღლილობაც და დაძაბულობაც. კარგი დასაწყისის შემდეგ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდს, რომელიც საკავშირო გათამაშების პირველ ლიგაში ასპარეზობს, თითქოს ბედმა ზურგი შეაქციაო, მოთამაშეთა შორის გახშირდა ტრავმები და უკვე რამდენი ხანია ყოველ თამაშზე ჩვენს გუნდს ორი ძირითადი წევრი მაინც აკლია ხოლმე.

ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებმა ბოლო ოთხი მატჩი სტუმრად ჩაატარეს პენზასა და გორკში. პირველ შეხვედრაში, რომელიც პენზაში გაიმართა, მათ საკმაოდ სუსტად ითამაშეს მასპინძლებთან, განსაკუთრებით ფარქვეშ, ვერც შეტევაში იმარჯვეს და დამარცხდნენ — 63:92.

მეორე მატჩი ჩვენმა გუნდმა გაცილებით აქტიურად ჩაატარა, ფარქვეშ უკეთესად იბრძოდა, კონტრშეტევებს ზუსტად ახორციელებდა და მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა — 80:75. სამწუხაროდ, ჩვენმა ერთ-ერთმა ძირითადმა მოთამაშემ ვ. კოზლოვამ მეორე შეხვედრაში ტრავმა მიიღო და გორკში თბილისელებს უკვე ოთხი (!) ძირითადი მოთამაშის გარეშე მოუხდათ ბრძოლა.

ამიტომ გორკში ძირითადად ახალგაზრდებმა ითამაშეს. თბილისელთა გუნდის მწვრთნელმა გარი არუთინოვმა გვითხრა, რომ ახალგაზრდებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს, მაგრამ დღევანდელ მოთხოვნებს ჯერჯერობით მაინც ვერ აკმაყოფილებენ.

თბილისელებმა ორივე შეხვედრა წააგეს — 56:97 და 52:71.

მომდევნო მატჩებს ჩვენი გუნდი თბილისში გამართავს, 17-18 მარტს უმასპინძლებს ტარტუს უსკ-ს, ხოლო 21-22 მარტს — ლენინგრადის „ვოლნას".

ბია ბურდული.

საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

# დამნაშავე ამომხსნელები

საკომპოზიციო პრესა ყოველთვის ხალისით აქვეყნებს მასალებს იმ გამოჩენილი პიროვნებების შესახებ, რომლებსაც კომპოზიცია იტაცებდათ და თავისუფალ დროს სიამოვნებით უთმობდნენ ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნას და გარჩევას. სამართალდამრღვევთა წრეში კი, როგორც ცნობილია, აზარტული თამაშების კულტია გაბატონებული. მაგრამ როგორც ირკვევა, თურმე საჭადრაკო პოეზიის თაყვანისმცემელთა კრიმინალურ სამყაროში მოხვედრის კურიოზული შემთხვევებიც არსებობს.

ეს ამბავი სპორტის მოყვარულთათვის კარგად ცნობილ ამერიკულ ქალაქ სიეტლში მოხდა. მძარცველი, რომელიც ღამით ბანკში შეიპარა, დილით მძინარე იპოვეს ვოლაცის მიერ დატოვებული გაზეთით. როგორც გაირკვა, მას გაზეთში დაბეჭდილი ოთხსვლიანი საჭადრაკო ამოცანის ამოხსნისას ჩასძინებოდა. ეტყობა, აზარტმა და რამდენიმე საათის ამაო გონებრივმა წვალებამ მეტად დაღალა და რული მოჰგვარა.

— ეჰ, უხეირო ჰობი ავირჩიე ცხოვრებაში, — მწარედ იხუმრა უიღბლო ამომხსნელმა და მძარცველმა, როცა სასამართლოს განაჩენი მოისმინა.

— არა, ჰობი თქვენ კარგი გაქვთ, — შეეპასუხა მოსამართლე, — ხოლო თვით პროფესია კი, მართლაც რომ კარგი ვერ აირჩიეთ!

ბუნებრივია, მკითხველმა იკითხოს, თუ ვინ იყო ამ დანაშაულებრივი საქმის „თანამონაწილე" — გაზეთში დაბეჭდილი ამოცანის ავტორი, რომელმაც ასე ჩააფიქრა დამნაშავე, ბოლოს მიაგნო თუ არა ამ უკანასკნელმა სხვა ვითარებაში მაინც (თუნდაც ჭადრაკის დაფასთან და არა დიაგრამაზე) ამოხსნას და ხომ არ შეიძულა თავისი „დამღუპველი" (თუ მხსნელი) გატაცება? პრესა ამ კითხვებზე სდუმს.

როგორც საჭადრაკო სამყაროში გათვითცნობიერებული პირები ვარაუდობენ, გამორიცხული არ არის, რომ ქვემოთ მოთავსებული დიაგრამა აღმოჩნდა ის ანდამატი, რომელმაც სიეტლის ბანკი გაძარცვას გადაარჩინა.



შამათი 4 სვლაში

თუ თქვენ მის ამოხსნას იპოვით, ალბათ იმასაც გავიგებთ, თუ რა ძალის ამომხსნელი იყო სიეტლელი ბანკის სტუმარი.

მეტად ცუდი მიმართულება მისცა თავის კარგ ჰობის ახალგაზრდა ფრანგმა ინჟინერმა რობენ მეიემ, რომელიც 100 ათას ფრანკად ღირებული კომპიუტერის მოპარვისათვის დააპატიმრეს. სასამართლოზე მან განაცხადა, რომ ეგმ მას საჭადრაკო ამოცანების ამოსახსნელად დასჭირდა. „ეს ჩემი ცხოვრების ერთადერთი გატაცებაა!" — განაცხადა სამართალდამრღვევმა.

განაჩენის გამოტანისას მოსამართლემ იმედი გამოთქვა, რომ პატიმრობის სამი წლის განმავლობაში საჭადრაკო კომპოზიციის ენთუზიასტი მისთვის საინტერესო დარგში ალბათ ისე გაიწაფება, რომ კომპიუტერის დახმარება აღარ დასჭირდება.

## ასწლიანი ამოცანები

ვაგრძელებთ ამ ტრადიციულ გამოშვებას. ერთის მხრივ, ვიხსენებთ ისტორიას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია პასუხი გაეცეს კითხვებს: როგორი იყო კომპოზიციის სათავეები, რა გზა გაიარა საჭადრაკო ხელოვნების დარგებმა დღემდე და საით უნდა აიღოს განვითარების გეზი მომავალში. მეორეს მხრივ კი, ჩვენს მოყვარულებს, კომპოზიციით დაინტერესებულ მკითხველს, ვინც თვითონაც ცდილობს სინჯოს ამოცანების შედგენა, გვინდა დავანახოთ, თუ რა დონეზე იყო წინაპარი კომპოზიტორების ოსტატობა, რა თემები და ჩანაფიქრები იზიდავდა მათ და რა შეიძლება ისწავლოს მათგან ჩვენმა დამწყებმა ავტორმა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი თვალსაჩინოა იმით, რომ უკვე მკაფიოდ არის გამოკვეთილი ორთოდოქსული საამოცანო ჟანრების (2-, 3-და მრავალსვლიანი ამოცანები) ძირითადი მხატვრული პრინციპები, მაღალ დონეზე იმართება კონკურსები და აღიარებულია საამოცანო სკოლები. მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთი მათგანის — ჩეხური სკოლის ქვემოთ მოთავსებული ნიმუშის გაცნობა დღესაც ესთეტიკურ სიამოვნებას მოჰგვრის მნახველს.

ი. კესლი, 1890



შამათი 3 სვლაში

ამოცანას ხსნის 1. ლh8! ტემპოსვლა, რომელიც ცუგცვანგში აყენებს შავებს — მათ ყოველ სვლაზე შამათი გარდაუვალია: 1. ...კ— 2. ლa8+ მფe6. 3. კ:g4×, 1. ...h1ლ 2. ლ:h1+ მფe6 3. კ:g4×, 1. ...b2 2. ლg8+ მფc6 3. კa4×, 1. ...c3 2. კ:b3+ მფc6 3. ლe8×, 1. ...g3 2. კf3+ მფe6 3. ლc8×. ექო და სანიმუშო (ე. ი. ერთდროულად სუფთაც და ეკონომიურიც) შამათების ნათელი დემონსტრაცია, რაც სწორედ ჩეხური საამოცანო სკოლისათვის არის დამახასიათებელი.

ჯ. ებოტი, 18[illegible]



შამათი 3 სვლაში

ამოსახსნელად გთავაზობთ ამ მინიატურას, მხოლოდ ერთი პირობით: ოთხსვლიანი ამოცანისაგან განსხვავებით აქ ავტორის ჩანაფიქრი დიაგრამაზევე უნდა იპოვოთ.

ველით თქვენს პასუხებს, ძვირფასო მეგობრებო!

## ამოხსნა

„ლელოს" 4 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი შ. დასნის სამსვლიანი მინიატურის ამოხსნაა 1. dl8მ! ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი ამოხსნა: ა. მარგველაშვილი (მუხიანი, წყალტუბოს რ.), ს. გვაძაბია (ფოთი), შორენა ლონდაძე (გორი), ზ. ქველიაშვილი (რუსთავი), ე. საბეკია (კირცხი, ჩხოროწყუს რ.), ა. ჩაფიჩაძე (თერჯოლა), ნ. კახიძე (ბათუმი), გ. კანდელაკი, კ. და გ. გოგიავები (ქუთაისი), ნ. და გ. ჭკადუები, მ. და გ. ქლენტები (სოხუმი), ე. ცხვედაძე, ა. ლირსიაშვილი, მ. ნიქაცაძე, ვ. შავგულიძე (თბილისი).

საქართველოს თასის გათამაშება ტყვიის სროლაში

# ყველა, ნინოს გარდა

**ჩვენი უძლიერესი ტყვიის მსროლელებიდან მხოლოდ ნინო სალუქვაძე არ მონაწილეობდა საქართველოს თასის გათამაშებაში, რომელიც ამ დღეებში თბილისში ჩატარდა.**

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებას სჯიდა 5 საერთაშორისო და 3 საკავშირო კატეგორიის მსაჯი. ეს ფაქტი ყურადსაღები უნდა იყოს სპორტის სხვა სახეობების იმ სპეციალისტებისათვის, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ კადრულობენ რესპუბლიკური ტურნირების მომსახურებას.

თასის გათამაშების საბოლოო შედეგებმა საშუალება მისცა საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრების ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ გადაემოწმებინა ჩვენი გუნდის კანდიდატთა შესაძლებლობები, რომლებიც აპრილში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. ლვოვში, სადაც ეს შეჯიბრება გაიმართება, მათ შეუერთდება ნინო სალუქვაძეც.

ტურნირი მხოლოდ მსაჯობის მაღალი დონით როდი გამოირჩეოდა, მონაწილეთა დიდმა ნაწილმა საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა გივი ბოსტოლანაშვილმა განსაკუთრებით გამოჰყო დიანა ავეტისიანის წარმატება, რომელმაც პნევმატური შაშხანით ასპარეზობისას 475 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ დიანა მხოლოდ 15 წლისაა.

ვაჟთა შორის რაიმე მოულოდნელობა არ მომხდარა, საპრიზო ადგილები თითქმის იმგვარად განაწილდა, როგორც ამას სპეციალისტები და მწვრთნელები ვარაუდობდნენ.

გასულ წელს ტყვიის სროლის საერთაშორისო ფედერაციამ შეცვალა — დააპატარავა სამიზნის ზომები, ამიტომ ყველა ოფიციალური შეჯიბრება ახალ სამიზნეებზე ტარდება. აქედან გამომდინარე, საქართველოს თასის გათამაშებაში ნაჩვენებ შედეგთა დიდი ნაწილი შეიძლება რესპუბლიკის რეკორდებად ჩაითვალოს, რადგან ეს პირველი ოფიციალური ტურნირი იყო საქართველოში, რომელიც ახალი ზომის სამიზნეების გამოყენებით ჩატარდა (ნინო სალუქვაძეს კი ახალ სამიზნეებზეც აქვს დამყარებული მსოფლიო რეკორდები).

შედეგები — კვარცხლბეკი

**ვაჟები:**

**მვ-6.** 1. ს. ოლიფერენკო (ასკ) — 692 ქულა; 2. მ. ბოსტოლანაშვილი („შევარდენი") — 627; 3. ს. ერმიშიანი (ასკ) — 627.

**მშ-9.** 1. ვ. სამოილენკო (ასკ) — 692; 2. ა. ძამოევი („შევარდენი") — 688; 3. კ. გევორქიანი („დინამო") — 685.

**პვ-8.** 1. დ. გევორქოვი („დინამო") — 657; 2. ოლიფერენკო — 655; 3. ა. კუპუხიძე (ასკ) — 652.

**პშ-6.** 1. თ. ქოიავა („შევარდენი") — 653; 2. ვ. კულუმბეგოვი (ასკ) — 663; 3. ძამოევი — 661.

**მვ-8.** 1. ა. დოლგარიოვი (ასკ) — 673; 2. ერმიშიანი — 661, 3. ოლიფერენკო — 668.

**პშ-12.** 1. დ. აფციაური („დინამო") — 645; 2. ა. მოტინიანი (ასკ) — 635; 3. ზ. ქიზიყურაშვილი („შევარდენი") — 633.

**ქალები:**

**პშ-4.** 1. დ. ავეტისიანი (ასკ) — 475; 2. მ. აბაკელია („დინამო") — 463; 3. ხ. ბერიკაშვილი („დინამო") — 461.

**მშ-9.** 1. აბაკელია — 580; 2. ავეტისიანი — 578; 3. ნ. ვანიჩენკო (ასკ) — 577.

**მვ-5.** 1. ნ. უჩაძე (ასკ) — 677; 2. მ. ხუბულაშვილი („შევარდენი") — 664; 3. ტ. მარუტიანი (ასკ) — 663.

**პვ-2.** 1. მარუტიანი — 477; 2. მ. კუჩმაევა — 471, 3. უჩაძე (ყველა — ასკ) — 469.

ლევან ჯავახიშვილი.



სურათზე: დ. ავეტისიანი.

ვიქტორ ხუკის ფოტო.



# სხვებისაც სჯერათ

**შარშან** საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრებმა II ადგილი დაიკავა (რსფსრ-ს შემდეგ) სსრკ პირველობაზე და უფლება მიიღო წლეულს 19 მოჭიდავით იასპარეზოს. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა ცდილობს გაზარდოს ეს რიცხვი, რადგან სჯერა, სხვა ახალგაზრდებიც გამოიჩენენ თავს.

ამ დღეებში თბილისი მასპინძლობდა 1972-1973 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა საქართველოს პირველობას.

ახალგაზრდა სპორტსმენთა როგორც ტექნიკურმა, ასევე საერთო-ფიზიკურმა მომზადებამ, შეიძლება ითქვას, დააკმაყოფილა მწვრთნელთა მოთხოვნები. ტურნირმა საშუალება მისცა საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას დაეკომპლექტებინა გუნდი, რომელიც 8-12 აპრილს ლენინგრადში იასპარეზებს საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

რესპუბლიკურ ჩემპიონატზე გუნდური შედეგები არ შეჯამებულა, მაგრამ თბილისელმა სპორტსმენებმა 10 მედალი მოიპოვეს. წარმატებით გამოვიდნენ გორელი, კასპელი და ყვარლელი მოჭიდავეებიც. აღსანიშნავია აგრეთვე ხაშურელი და სოხუმელი ახალგაზრდების შედეგებიც, რომელთაც ტოლი არ დაუდეს ჭიდაობის აღიარებული ცენტრების აღსაზრდელებს.

ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად არ ჩამოვიდა თელავის გუნდი. ეს რომ პირველი შემთხვევა იყოს, კიდევ არაფერი, მაგრამ თითქმის 3 წელია თელაველები თავს არიდებენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებს, არადა ყოველი ჩემპიონატის წინ მათ ეგზავნებათ არა მხოლოდ სავალდებულო, არამედ დამატებითი მოწვევაც.

ჯ. ლეონიძე.

• • •

**გამარჯვებულები:**

**46 კგ** ი. ყუშიტაშვილი (თბილისი); **50 კგ** ზ. აბუსერიძე (ბათუმი); **54 კგ** ბ. ასიაშვილი (რუსთავი); **58 კგ** ზ. პოლოსიანი (გორი); **63 კგ** ლ. კაპანაძე (თბილისი); **68 კგ** ზ. ზოზიროვი (გორი); **74 კგ** გ. დარსანია (სოხუმი); **81 კგ** ვ. შათირიშვილი; **88 კგ** დ. აბრამიშვილი (ორივე — ხაშური); **97 კგ** ვ. ხვედელიანი (თბილისი); **115 კგ** ა. გზირიშვილი (კასპი).

# აზიის თამაშები კვლავ საპოროში

**საპოროში** საზეიმოდ გაიხსნა აზიის ქვეყნების ზამთრის მეორე თამაშები. ასპარეზობებში მონაწილეობას მიიღებს 9 ქვეყნის 300-ზე მეტი სპორტსმენი, გათამაშდება მედლების 33 კომპლექტი.

აზიის ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის, სამხრეთკორეელი კიმ ჩონ ხას აზრით, ზამთრის მეორე თამაშების ჩატარება დიდ წვლილს შეიტანს აზიის ქვეყნების თანამედროვე სპორტული სტრუქტურის განვითარებაში.

როგორც ცნობილია, აზიის ქვეყნების პირველი თამაშებიც იაპონიის ამავე ქალაქში ჩატარდა. მაშინ იაპონელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ გათამაშებული 35 ოქროს მედლიდან მოიპოვეს 29.

## საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში

**9 მარტს** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები: ცსკა — „დინამო" (კიევი) 1:1, „პამირი" (დუშანბე) — „შახტიორი" (დონეცკი) 2:1, „არარატი" (ერევანი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 0:0, „დინამო" (მოსკოვი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 1:1, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:0.

## „სპორტლოტო"

**გაიმართა** „სპორტლოტოს" 1990 წლის მე-10 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 1 (კალათბურთი), 4 (კრივი), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 27 (მშვილდოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 37 (აკრობატიკა).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 2 (ბიატლონი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 9 (ველოსპორტი, შოსე), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** მე-9 ტირაჟში მონაწილე ბილეთებს, რომელთა ნომრებია 527978 სერია 276, 542 134 სერია 177 და 185088 სერია 371 წილად ხვდათ კეთილი ნების თამაშებზე (აშშ) გასამგზავრებელი უფასო საგზურები.

რედაქტორი თ. ბაჩექილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული ლატარიები

## ეს არის ახალი სტადიონები, აუზები, მოედნები, სპორტული კომპლექსები

### დიდი მოგებები, ავტომანქანები და... საგზურები

**ლატარია** „სპორტპროგნოზის“ წლევანდელი მე-7 ტირაჟი მართლაცდა იღბლიანი აღმოჩნდა თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომის თანამშრომლის გიორგი ასათიანისთვის.

მან ერთ ბილეთში 13 შედეგი გამოიცნო, ხოლო რამდენიმეში — 12 და 11. საერთო ჯამში მოგებამ 9 ათას მანეთს გადააჭარბა.

სპორტული ლატარიების მოყვარულთა რესპუბლიკური კონკურსის პირობების თანახმად გ. ასათიანმა უფლება მიიღო მოგების ანგარიშში ურიგოდ შეიძინოს ავტომანქანა „ჟიგული“ ვაზ-21063.

მაგრამ მისი იღბლიანობა ამით არ ამოწურულა. მოსკოვში გამართული წილისყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მის ბილეთს, რომელშიც 13 შედეგია გამოცნობილი და რომლის სერიაა „CA“ № 59298831, წილად ხვდა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატზე გასამგზავრებელი საგზურის სარეზერვო კანდიდატობა.

ასე რომ, თუ ვინმე ძირითად ათ პრეტენდენტს შორის უარს განაცხადებს იტალიაში გამგზავრებაზე, ასეთები კი უკვე გამოჩნდნენ, გიორგი ასათიანი უფასოდ იმოგზაურებს იტალიაში 16 დღის განმავლობაში.

იტალიაში წასვლის კანდიდატთა შორის კიდევ ერთი თბილისელია — გელა სამჭკუაშვილი, რომლის ბილეთის სერიაა „CA“ № 59351848.

დიდი მოგებები ხვდათ წილად „სპორტლოტოს“ მე-8 ტირაჟში ჩარხმშენებლობის კვლევითი ინსტიტუტის კონსტრუქტორს გიორგი კასრაძეს და ტყიბულელ მეშახტე მურად გვეტაძეს, რომლებმაც 5-5 ნომერი ამოიცნეს „სპორტლოტო 5 36“-ში. თითოეულმა მათგანმა მოიგო 9350 მანეთი და მიიღო ავტომანქანა „ჟიგული“ ვაზ-21063-ის ურიგოდ შეძენის უფლება.

გარდა ამისა, კასრაძისა და გვეტაძის ბილეთებს (სერია 138 № 838410 და სერია 170 № 431484) კიდევ ერთი მოგება ხვდათ წილად. წილისყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი გახდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში კეთილი ნების თამაშებზე გასამგზავრებელი უფასო საგზურების მფლობელები.

სხვა არა დაგვრჩენია, რომ კეთილი მგზავრობა ვუსურვოთ მათ.

## „სპორტლოტო“ და „სპორტპროგნოზი“

1990 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტომანქანის ურიგოდ შეძენის უფლებები იმ პირთათვის, ვინც სპორტულ ლატარიებში მოიგებს 10.000 მანეთს.

ავტომანქანა „ჟიგული ვაზ 2109“-ის ურიგოდ შეძენის უფლება ეძლევათ იმ პირებს, ვინც ლატარია „სპორტლოტოს“ ერთტირაჟიანი ბილეთის ერთ ან ორივე ვარიანტში მოიგებს 10.000 მანეთს და აგრეთვე მათაც, ვინც იგივე თანხას მოიგებს ნუმერაციით ერთმანეთის მიმდევარი ათი ბილეთის ჯამში.

ავტომანქანა „ჟიგული ვაზ 2109“-ის ურიგოდ შეძენის უფლება ეძლევათ ატირაჟიანი ბილეთით ყველა მოგების ჯამში 10.000 მანეთის დაგროვების შემთხვევაშიც და აგრეთვე იმ ბილეთებსაც, რომლებიც ათჯერადად მონაწილეობენ ერთ ტირაჟში.

ავტომანქანა „ვოლგა“ გაზ 24-10-ის ურიგოდ შეძენის უფლება ეძლევათ იმ პირებს, რომლებიც ატირაჟიანი ბილეთით ერთი ტირაჟის ერთ ვარიანტში მოიგებენ 10.000 მანეთს და აგრეთვე მათ, ვინც ასეთივე ბილეთით აღნიშნულ თანხას მოიგებენ ერთ ტირაჟში ათჯერადი მონაწილეობით, ოღონდ ერთ ვარიანტში და ერთჯერადად.

ლატარია „სპორტპროგნოზში“ ავტომანქანა „ჟიგული ვაზ 2109“-ის ურიგოდ შეძენის უფლება ეძლევათ იმ პირებს, ვინც 10.000 მანეთს მოიგებს ერთ ვარიანტში, ან რამდენიმე ვარიანტის ნუმერაციით მიმდევარ 10 ბილეთის ჯამში.

რესპუბლიკური კონკურსის პირობების თანახმად „ჟიგული“ ვაზ 21063 და სხვა მარკის ავტომობილის შეძენის უფლება მიეცემა მათ, ვინც „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ ბილეთებით, ერთ ან რამდენიმე ბილეთზე 50 რიგითი ნომრის ფარგლებში, ჯამში დააგროვებს ჟიგულის მარკის ავტომანქანის მინიმალურ ღირებულებაზე არანაკლებ თანხას.

გიწვევთ სპორტული ლატარია „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

## 1990 წლის „სპორტლოტოს“ [illegible] ტირაჟების ჩატარებისა და მოგებათა გაცემის თარიღები

| | | |
|---|---|---|
| 10 | 11 მარტი | 31 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით |
| 11 | 18 მარტი | 7 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით |
| 12 | 25 მარტი | 14 აპრილიდან 14 მაისის ჩათვლით |
| 13 | 1 აპრილი | 21 აპრილიდან 21 მაისის ჩათვლით |
| 14 | 8 აპრილი | 28 აპრილიდან 28 მაისის ჩათვლით |
| 15 | 15 აპრილი | 5 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით |
| 16 | 22 აპრილი | 12 მაისიდან 12 ივნისის ჩათვლით |
| 17 | 29 აპრილი | 19 მაისიდან 19 ივნისის ჩათვლით |
| 18 | 6 მაისი | 26 მაისიდან 26 ივნისის ჩათვლით |
| 19 | 13 მაისი | 2 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით |
| 20 | 20 მაისი | 9 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით |
| 21 | 27 მაისი | 16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით |
| 22 | 3 ივნისი | 23 ივნისიდან 23 ივლისის ჩათვლით |
| 23 | 10 ივნისი | 30 ივნისიდან 30 ივლისის ჩათვლით |
| 24 | 17 ივნისი | 7 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით |
| 25 | 24 ივნისი | 14 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით |
| 26 | 1 ივლისი | 21 ივლისიდან 21 აგვისტოს ჩათვლით |
| 27 | 8 ივლისი | 28 ივლისიდან 28 აგვისტოს ჩათვლით |
| 28 | 15 ივლისი | 4 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით |
| 29 | 22 ივლისი | 11 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით |
| 30 | 29 ივლისი | 18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით |
| 31 | 5 აგვისტო | 25 აგვისტოდან 25 სექტემბრის ჩათვლით |
| 32 | 12 აგვისტო | 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით |
| 33 | 19 აგვისტო | 8 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით |
| 34 | 26 აგვისტო | 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით |
| 35 | 2 სექტემბერი | 22 სექტემბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით |
| 36 | 9 სექტემბერი | 29 სექტემბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით |
| 37 | 16 სექტემბერი | 6 ოქტომბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით |
| 38 | 23 სექტემბერი | 13 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით |
| 39 | 30 სექტემბერი | 20 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით |
| 40 | 7 ოქტომბერი | 27 ოქტომბრიდან 27 ნოემბრის ჩათვლით |
| 41 | 14 ოქტომბერი | 3 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით |
| 42 | 21 ოქტომბერი | 10 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით |
| 43 | 28 ოქტომბერი | 17 ნოემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით |
| 44 | 4 ნოემბერი | 24 ნოემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით |
| 45 | 11 ნოემბერი | 1 დეკემბრიდან 1991 წლის 1 იანვრის ჩათვლით |
| 46 | 18 ნოემბერი | 8 დეკემბრიდან 1991 წლის 8 იანვრის ჩათვლით |
| 47 | 25 ნოემბერი | 15 დეკემბრიდან 1991 წლის 15 იანვრის ჩათვლით |
| 48 | 2 დეკემბერი | 22 დეკემბრიდან 1991 წლის 22 იანვრის ჩათვლით |
| 49 | 9 დეკემბერი | 29 დეკემბრიდან 1991 წლის 29 იანვრის ჩათვლით |
| 50 | 16 დეკემბერი | 1991 წლის 5 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით |
| 51 | 23 დეკემბერი | 1991 წლის 12 იანვრიდან 12 თებერვლის ჩათვლით |
| 52 | 30 დეკემბერი | 1991 წლის 19 იანვრიდან 19 თებერვლის ჩათვლით. |

# „სპორტპროგნოზი“

**ევროპის საფეხბურთო ტურნირების მეოთხედფინალური მატჩების საპასუხო შეხვედრებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა**

(20-22 მარტი)

**ჩემპიონთა თასი**

1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) პირველი ტაიმი.
2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) მეორე ტაიმი
3. „მარსელი“ (საფრანგეთი) — „სრედეცი“ (ბულგარეთი)
4. „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „ბაიერნი“ (გფრ)
5. „მილანი“ (იტალია) — „მეჰელენი“ (ბელგია)

**თასების მფლობელთა თასი**

6. „მონაკო“ (საფრანგეთი) — „ვალიადოლიდი“ (ესპანეთი)
7. „პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „დინამო“ (რუმინეთი)
8. „ადმირა-ვაკერი“ (ავსტრია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია)
9. „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „სამპდორია“ (იტალია)

**უეფა-ს თასი**

10. „ოსერი“ (საფრანგეთი) — „ფიორენტინა“ (იტალია)
11. „ანტვერპენი“ (ბელგია) — „კიოლნი“ (გფრ)
12. „ვერდერი“ (გფრ) — „ლიეჟი“ (ბელგია)
13. „იუვენტუსი“ (იტალია) — „ჰამბურგი“ (გფრ)

**შენიშვნები:** 1. შედეგები განისაზღვრება მატჩის ძირითადი დროის შედეგის მიხედვით; 2. ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრედში ბილეთში უნდა ჩაიწეროს „C-1“; 3. შევსებული ბილეთები მიიღება „სპორტპროგნოზის“ მე-11 ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

### შეგახსენებთ!

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში კეთილი ნების თამაშებზე გასამგზავრებელი უფასო საგზურები გათამაშდება „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-12 ტირაჟის ჩათვლით.



**შაიბიან ჰოკეიში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა**

**შვეიცარია, 16-26 აპრილი**

**16 აპრილი (ორშაბათი)**
1. შვეცია — ფინეთი

**17 აპრილი (სამშაბათი)**
2. აშშ — კანადა
3. ფინეთი — ჩეხოსლოვაკია

**19 აპრილი (ხუთშაბათი)**
4. კანადა — ფინეთი

**20 აპრილი (პარასკევი)**
5. ფინეთი — სსრ კავშირი

**22 აპრილი (კვირა)**
6. აშშ — გფრ
7. სსრ კავშირი — შვეცია
8. კანადა — ჩეხოსლოვაკია

**24 აპრილი (სამშაბათი)**
9. შვეცია — კანადა
10. ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი

**25 აპრილი (ოთხშაბათი)**
11. ფინეთი — აშშ

**26 აპრილი (ხუთშაბათი)**
12. ჩეხოსლოვაკია — შვეცია
13. სსრ კავშირი — კანადა

**შენიშვნები:** 1. ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრედში ბილეთში უნდა ჩაიწეროს „C-2“.
2. შევსებული ბილეთები მიიღება „სპორტპროგნოზის“ მე-15 ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

**იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა**

**8-18 ივნისი**

**8 ივნისი (პარასკევი)**
1. არგენტინა — კამერუნი

**9 ივნისი (შაბათი)**
2. სსრ კავშირი — რუმინეთი

**10 ივნისი (კვირა)**
3. ბრაზილია — შვეცია
4. გფრ — იუგოსლავია

**12 ივნისი (სამშაბათი)**
5. ბელგია — ს. კორეა

**13 ივნისი (ოთხშაბათი)**
6. არგენტინა — სსრ კავშირი
7. ურუგვაი — ესპანეთი

**14 ივნისი (ხუთშაბათი)**
8. კამერუნი — რუმინეთი

**15 ივნისი (პარასკევი)**
9. ავსტრია — ჩეხოსლოვაკია

**16 ივნისი (შაბათი)**
10. შვეცია — შოტლანდია
11. ინგლისი — ჰოლანდია

**18 ივნისი (ორშაბათ)**
12. არგენტინა — რუმინეთი
13. კამერუნი — სსრ კავშირი.

**შენიშვნები:** 1. ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრედში ბილეთში უნდა ჩაიწეროს „C-3“.
2. შევსებული ბილეთები მიიღება „სპორტპროგნოზის“ 23-ე ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

### იყავით ყურადღებით!

მიუხედავად მრავალგზის შეხსენებისა, ბევრი მოთამაშე დაბნეულობისა თუ წესების უცოდინრობის გამო „ბვ“ ნაწილის ნაცვლად ყუთში აგდებს ბილეთის „ა“ ნაწილს, რითაც წინასწარ კარგავს ტირაჟში მონაწილეობის უფლებას.

ერთხელ კიდევ შეგახსენებთ: თამაშის წესების პირობებით, სპორტული ლატარიების საწარმოში შემოსული ბილეთის „ა“ ნაწილი შეიძლება გაცვალოთ „ბვ“ ნაწილში უშუალოდ საწარმოში (თბილისი, ელიავას ქ. № 26) არაუგვიანეს პარასკევის 18 საათისა მოცემული ტირაჟის წინ, „ბ“ ნაწილის შესანახად გამოყოფილი საცავის დალუქვამდე.

წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოში შემოსულ „ა“ ნაწილებს (გარდა 10-ტირაჟიანი ბილეთებისა, რომლებიც ატირაჟიანი ციკლის განმავლობაში ინახება) სპობს სპეციალური კომისია სათანადო აქტით, სადაც მითითებული იქნება ბილეთების სერია და ნომრები.

გახსოვდეთ, რომ „ა“ ნაწილი ერთადერთი საბუთია, რომლითაც შეგიძლიათ მიიღოთ მოგება, ამიტომ ის თქვენთან უნდა ინახებოდეს.

### მზად ვართ გემსახუროთ!

**ჩვენი მისამართი:** 380019, თბილისი-19, ელიავას ქ. № 26. ტელეფონები: 34-20-00, 34-38-00, სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური საწარმო.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-56, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-20, „[illegible]“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743